

ბიზნეს ინტერნეტ ბანკი
ინსტრუქცია

ონბორდინგი

მთავარი გვერდი > რეგისტრაცია

ციფრული ონბორდინგი ინტერნეტ ბანკიდან გულისხმობს იურიდიული პირის მომხმარებლად რეგისტრაციას და პირველი ანგარიშის გახსნას ბანკის სისტემაში. პროდუქტი განკუთვნილია რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის, რომლებსაც ყავთ მხოლოდ 1 დირექტორი, რეგისტრირებული არიან საჯარო რეესტრის ბაზაში. სამართლებრივი ფორმა აქვთ: შპს, სპს, კს. ონბორდინგის გავლა შეუძლია მხოლოდ დირექტორს.

ონბორდინგის პროცესი შედგება 5 გვერდისგან:

- საიდენტიფიკაციო კოდი - მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს იმ კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის დაონბორდებაც სურს.
- სმს ვერიფიკაცია - სმს კოდი ავტომატურად იგზავნება იმ ნომერზე, რომელიც დირექტორს აქვს ბანკში რეგისტრირებული.
- ფაქტიური მისამართი - მომხმარებელს ვუჩვენებთ იურიდიულ მისამართს, სადაც შეუძლია დაეთანხმოს რომ ფაქტიურიც იგივეა, ან ფაქტიური მისამართი შეავსოს მანუალურად.
- იუზერნეიმი - მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი ან თავად ჩაწეროს მანუალურად.
- პაროლი - მომხმარებელი თავად ქმნის პაროლს.

ონლაინ რეგისტრაცია

მთავარი გვერდი > Register

ონლაინ რეგისტრაცია განკუთვნილია იურიდიული პირებისთვის, რომლებიც არიან ბანკის არსებული კლიენტები, თუმცა არ სარგებლობენ ბიზნეს ინტერნეტ და მობაილ ბანკით, არ აქვთ ციფრული იუზერი. პირველი ციფრული იუზერის შექმნა იგივე ონლაინ რეგისტრაციის პროცესის დაწყებაც იგივე ღილაკიდან ხდება, საიდანაც ონბორდინგი ("რეგისტრაცია").

ონლაინ რეგისტრაციისთვის საჭიროა 5 გვერდის გავლა:

- საიდენტიფიკაციო კოდი - მომხმარებელმა უნდა შეიყვანოს იმ კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის დაონბორდებაც სურს.
- სმს ვერიფიკაცია - სმს კოდი ავტომატურად იგზავნება იმ ნომერზე, რომელიც დირექტორს აქვს ბანკში რეგისტრირებული.
- ვინაობის დადასტურება (Liveness Check) - მომხმარებელმა უნდა გადაიღოს სელფი.
- იუზერნეიმი - მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთ-ერთი ან თავად ჩაწეროს მანუალურად.
- პაროლი - მომხმარებელი თავად ქმნის პაროლს.

ვალუტის კურსები

მენიუ > ვალუტის კურსები

გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ როგორც კალკულატორი და ძველი კურსები, ასევე შეგიძლიათ შეათანხმოთ კონვერტაცია.

თუ გსურთ კონვერტაციის შეთანხმება ვალუტის კურსები > შეათანხმე კონვერტაცია, შეგყავთ მინიმალურ თანხაზე მეტი, სასურველი კურსი აკლიკებთ გაგზავნას, იქვე გიჩანთ თქვენი გაგზავნილი მოთხოვნა შესაბამისი სტატუსით, რამოდენიმე წამში ბანკის მხრიდან გიბრუნდებათ პასუხი, მოთხოვნა მუშავდება, თუ ბანკი დათანხმდა თქვენს კურსს, იქვე ახდენთ კონვერტაციას, თუმცა თუ ბანკმა შემოგთავაზათ კურსი და არ არის მისაღები შეგიძლიათ კვლავ გაუგზავნოთ სასურველი კურსი.

თუ უბრალოდ არსებული კურსით, მინიმალურ თანხაზე ნაკლების კონვერტაცია გსურთ, აღნიშნულიც ხელმისაწვდომია თქვენთვის იგივე ველში.

ვალუტის კურსები > კურსები - შეგიძლიათ მიიღონ ინფორმაცია ძველ კურსებთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიღება შესაძლებელია როგორც TBC კურსებზე ასევე ეროვნული ბანკის კურსებზე.

ვალუტის კურსები > ვალუტის კალკულატორი - შეგიძლიათ მოახდინოთ სასურველი ვალუტის კალკულაცია, კალკულატორით სარგებლობისთვის ანგარიშები არ წამოადგენს აუცილებლობას.

ნაშთების ისტორია

დეშბორდი > ნაშთების ისტორია

ანგარიშების ჭრილში ინფორმაცია მიმდინარე ნაშთის, ნაშთის ვალუტასა და ექვივალენტის შესახებ ინფორმაცია არჩეულ თარიღში. შესაძლებელია ძებნა, თარიღის ცვლილება და ექსელში ექსპორტი.

What’s New

დეშბორდი > სიახლეების აიქონი ზედა პანელში

ღილაკზე კლიკის შემდეგ გამოდის ფანჯარა სადაც მოცემულია სიახლეების შესახებ ბარათები ფოტოთი და ტექსტური აღწერით, თითოეულზე დაკლიკების შემდეგ ხდება კონკრეტული სიახლის დეტალურ გვერდზე გადასვლა.

KYC

მენიუ > პარამეტრები > კომპანიის ინფორმაცია

ამ გვერდიდან მომხმარებელს შეუძლია კომპანიის ინფორმაციის განახლება.



შესვლა

გვერდი საიდანაც შედიხართ ბიზნეს ინტერნეტ ბანკში.
დალოგინების გვერდიდანვე შეგიძლიათ ნახოთ: უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, დაგვიკავშირდეთ, გადახვიდეთ ფიზიკური პირი პირის ინტერნეტ ბანკზე, შეცვალოთ ენა, გადახვიდეთ თიბისი ბანკის ვებ გვერდზე.
მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანის შემდეგ, შეგიძლიათ მონიშნოთ “დამახსოვრება” - ყოველ შემდეგ შემოსვლაზე, მომხმარებლის სახელი დაგხვდებათ შევსებული.
თუ არ გახსოვთ პაროლი, შეგიძლიათ განაახლოთ ღილაკზე - “დაგავიწყდა პაროლი?” დაჭერით
.



პაროლის განახლება

1. შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი და მობილურის ნომერი, რომელიც ამ მომხმარებელზეა დარეგისტრირებული და დააჭირეთ ღილაკს - შემდეგი

2. შეიყვანეთ SMS კოდი, რომელსაც მიიღებთ თქვენს ნომერზე. თუ ხელმომწერი მომხმარებელი ხართ, გამოგიჩნდებათ ველი დიჯიპას კოდისთვის, შეიყვანეთ ეს კოდიც. დააჭირეთ ღილაკს შემდეგი

3. დააყენეთ ახალი პაროლი.



მენიუ და მთავარი გვერდი

მთავარი გვერდი, საიდანაც ხდება ინტერნეტ ბანკის ნებისმიერ გვერდზე გადასვლის და ნავიგაციის საშუალება.

ინფორმაცია მოცემულია შეთავაზებებზე, შესაძლებელია გვერდის მართვა და მისი განლაგების ცვლილება, ინფორმაცია ვალუტის კურსებზე, ანგარიშებზე და ბარათებზე, ანალიტიკა, ნაშთების ისტორია, ბოლო ტრანზაქციები. გვერდითა მენიუ (Side bar): საშუალებას გაძლევთ გადახვიდეთ შემდეგ გვერდებზე:

პროდუქტები, ტრანზაქციები, გადარიცხვები, გადახდების შაბლონები, ვალუტის სერვისები, შეთავაზებები, განაცხადები, ანალიტიკა, ღია ბანკინგი, გადახდის სივრცე. ზედა პანელზე ასევე მოცემულია სიახლეები, კონტაქტ ცენტრი, მესიჯინგი და ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ.

პროდუქტები

დეშბორდი > გვერდითა მენიუ (Side bar)

პროდუქტების სივრცე აერთიანებს: ინფორმაციას ანგარიშების და ბარათების შესახებ, სესხების, გარანტიების და გადახდების სივრცის შესახებ.

ამ გვერდიდან შესაძლებელია მიიღოთ ინფორმაცია სიაში მოცემულ თითოეულ პროდუქტზე იმ შემთხვევაში თუ კი ამ პროდუქტებს იყენებთ და გიფიქსირდებათ ინფორმაცია.

ანგარიშების მართვა

პარამეტრები > ანგარიშები > ანგარიშების მართვა

ანგარიშების მართვის გვერდზე, მარჯვენა კუთხეში chek box-ის მონიშვნით მართავთ ანგარიშების სიას, რომელიც მთავარ გვერდზე და ანგარიშების სიაში გამოგიჩნდებათ.

მარცხენა კუთხეში ვარსკვლავის მონიშვნით შეგიძლიათ თქვენი ძირითადი ანგარიშის არჩევა.

აგრეთვე ამავე გვერდის ბოლოს გაქვთ ნულოვანი ნაშთის ანგარიშების დაფარვა. ამ chek box-ის მონიშვნით, მთავარ გვერდზე და ანგარიშების სიაში დაიმალება ყველა ანგარიში, რომელზეც ნაშთი არ არის.

ანგარიშები და ბარათები

ანგარიშის ნომრის დასაკოპირებლად მიიტანეთ კურსორი ანგარიშის ნომერთან ღილაკზე, სადაც გამოჩნდება „დაკოპირება“. დააჭირეთ და ანგარიში დაკოპირდება.

სწრაფი ქმედებები - შესაბამის ღილაკზე დაჭერით შეგიძლიათ ამ ანგარიშის ამონაწერზე გადახვიდეთ, გააკეთოთ გადარიცხვა, ან PDF ფაილში აიღოთ ანგარიშის რეკვიზიტები.

დეპოზიტები

დეშბორდზე დეპოზიტების ტაბზე გადასვლით შესაძლებელია არსებულ დეპოზიტებზე დეტალური ინფორმაციის მიღება.

სესხები

მენიუ > პროდუქტები > სესხები

სესხების სიის გვერდზე შესაძლებელია კომპანიის მიმდინარე სესხების ნახვა და თითოეულზე დაკლიკებით, კონკრეტული სესხის დეტალების ნახვაც: ზოგადი ინფორმაცია, დაგეგმილი გრაფიკი (xml, xlsx, csv ექსპორტის შესაძლებლობით), გადახდების ისტორია (xml, xlsx, csv ექსპორტის შესაძლებლობით), ხელშეკრულების პირობები (პდფ-ში ჩამოტვირთვის შესაძლებლობით).

იქვე შეუძლია მომხმარებელს მიმდინარე ან მომავლის თარიღისთვის სესხზე არსებული დავალიანების დაანგარიშებაც. "საკრედიტო ხაზის" ტიპის სესხზე მომხმარებელს თანხის ათვისება შეუძლია გააკეთოს ციფრულად, ინტერნეტ ბანკიდან. ასევე შეუძლია გახარჯული საკრედიტო ხაზის დაფარვაც.

გარანტიები

მენიუ > პროდუქტები > გარანტიები

გარანტიების სიის გვერდზე შესაძლებელია კომპანიის მიმდინარე გარანტიების ნახვა და თითოეულზე დაკლიკებით, კონკრეტული გარანტიის დეტალების ნახვაც. მომხმარებელს შეუძლია სია სასურველ ფორმატში დაექსპორტოს ექსელში.

გადარიცხვები

მენიუ > გადარიცხვები

იშლება სხვადასხვა ტიპის გადარიცხვების ჩამონათვალი:

- სხვასთან გადარიცხვა
- საკუთარ ანგარიშებს შორის
- ბიუჯეტში
- ავტომატური გადარიცხვები
- ჯგუფური გადარიცხვა

ჯგუფური ფაილების ატვირთვა

მენიუ > გადარიცხვები > ჯგუფური

იხსნება ჯგუფური გადარიცხვების დეშბორდი, სადაც ჩანს ჩამონათვალი, თუ რომელი ანგარიშიდან გსურს გადარიცხვა და გადარიცხვის თარიღის ასარჩევი კალენდარი.

ავტომატურად შევსებულია სტატუსით "დამუშავებისთანავე". ასევე შესაძლებელია მომავლის თარიღით გადარიცხვის არჩევა. "ატვირთეთ" ღილაკზე კლიკით, ვირჩევთ შესაბამის ფაილს, რომელიც უნდა იყოს მხოლოდ CSV, XML ან XLSX ფორმატში

გადახდები

- კომუნალური
- მობილურის შევსება
- ჯარიმები
- ავტომატური გადახდები

ტრანზაქციები

- საკუთარ ანგარიშზე
- სხვის ანგარიშზე
- სახაზინო
- ჯგუფური გადარიცხვები
- ავტომატური გადარიცხვები

ტრანზაქციის ისტორია

დეშბორდი > ტრანზაქციები > ტრანზაქციების ისტორია

მოცემულია ინფორმაცია ტრანზაქციების შესახებ სხვადასხვა ტიპის ფილტრების არჩევის შესაძლებლობით და ექსპორტის საშუალებით.

შესაძლებელია გვერდის სვეტების რედაქტირება და სასურველი 3-დან 6-მდე ფილტრი სვეტის არჩევა, ასევე მათი სასურველი თანმიმდევრობის დალაგება.

ტრანზაქციის ისტორიის ფილტრები

შესაძლებელია ძებნა ან კონკრეტული ფილტრის/ ფილტრების გამოყენება სასურველი ტრანზაქციის მოსაძებნად.

ასევე, ფილტრების თანმიმდევრობის გადალაგება და სასურველი გამოჩენა/დამალვა.

ამონაწერი

ამონაწერის გვერდზე გადასვლისას კალენდარში, ფილტრში 1 თვე არის მონიშნული, ამონაწერის გვერდზე შეგიძლიათ აარჩიოთ კონკრეტული ანგარიში, რომელზეც ინფორმაციის მიღება გსურთ შესაბამისი ფორმატის არჩევით.

აქვეა თარიღისა და სტატუსის ფილტრებიც. სასურველი ფილტრების არჩევისას ინფორმაციის დასანახად უნდა დააჭიროთ ღილაკს „გაფილტვრა“. შესაბამისი ფორმატები გააქტიურდება და შეძლებთ ფაილის ჩამოტვირთავს. ასევე ჩაიტვირთება ინფორმაცია ტრანზაქციებზე უშუალოდ გვერდზე.

გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში თუ გსურთ ამონაწერი რამდენიმე ანგარიშიდან (მაქსიმუმ შესაძლებელია 5 ანგარიშის მონიშვნა) ინფორმაციის ჩამოტვირთვას შეძლებთ მხოლოდ ფაილით. რამდენიმე ანგარიშის არჩევისას ტრანზაქციები გვერდზე არ ჩაიტვირთება და დაინახავთ.

ამონაწერს აქვს 5 ტიპის ექსპორტის საშუალება - PDF, Excel, XML, CSV, MT940

მიმდინარე დავალებები

მენიუ > ტრანზაქციები > მიმდინარე დავალებები :

მოცემულია ინფორმაცია შესრულებული გადარიცხვების შესახებ სხვადასხვა სტატუსის მიხედვით.

მოცემულ გვერდზე შესაძლებელია დავალებების სიის იმპორტი, ფილტრაცია სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით.

ასევე კალენდრის ფილტრი და ძებნის ველი.

მიმდინარე დავალებები - ხელმოსაწერი

მენიუ > ტრანზაქციები > მიმდინარე დავალებები

სჭირდება თქვენი ხელმოწერა: მოცემულია ინფორმაცია შექმნილი გადარიცხვების შესახებ მხოლოდ "დასაავტორიზებელი" სტატუსით.

შესაძლებელია დავალებების სიის იმპორტი, ძებნა, ფილტრაცია.

ასევე შესაძლებელია დავალებების მონიშვნა და სასურველი რაოდენობის ერთად დაავტორიზება.

ტრანზაქციის დეტალები

მენიუ > ტრანზაქციები > დავალებები:

იხსნება მიმდინარე დავალებების დეშბორდი, სადაც ჩანს აქამდე ატვირთული დავალებები ყველა სტატუსით.

ვირჩევთ რომელიმე დავალებას მასზე მაუსის ორჯერ დაკლიკებით.

იხსნება პოპაპი შევსებული ინფორმაციით (საბუთის ნომერი, თარიღი, თანხა, დანიშნულება და ა.შ).

ჯგუფური დავალებები

მენიუ > ტრანზაქციები > დავალებები:

იხსნება მიმდინარე დავალებების დეშბორდი, სადაც ჩანს აქამდე ატვირთული დავალებები ყველა სტატუსით.

ვირჩევთ რომელიმე დავალებას მასზე მაუსის ორჯერ დაკლიკებით.

იხსნება პოპაპი შევსებული ინფორმაციით (საბუთის ნომერი, თარიღი, თანხა, დანიშნულება და ა.შ).

შაბლონები

მენიუ > შაბლონები > იხსნება ძველი შაბლონების სია

თითოეულ შაბლონს აქვს შეცვლის, წაშლის, გადარიცხვის ღილაკი.

ასევე ძებნის ველი და ფილტრი. გაფილტვრა შესაძლებელია როგორც შაბლონის ტიპის, ისე ვალუტის მიხედვით.

აქვე გვაქვს ახალი შაბლონის შექმნის ღილაკი, რომელსაც აქვს ორი არჩევანი: მიმღები და საბიუჯეტო გადარიცხვის. მიმღების დროს ვამატებთ ახალ შაბლონს, ხოლო საბიუჯეტო გადარიცხვის დროს საბიუჯეტო შაბლონს.

ვალუტის კურსები

მენიუ > ვალუტის კურსები
შეგიძლიათ ისარგებლოთ, კურსებთან დაკავშირებული ყველა ფუნქციონალით კონვერტაციის შეთანხმებით კურსებით ვალუტის კალკულატორით.

ვალუტის კურსები>შეათანხმე კონვერტაცია
შეგიძლიათ მოითხოვოთ სასურველი კურსით კონვერტაციას, ერთ სივრცეში მოითხოვოთ კურსი, დაელოდოთ ბანკს, იხილოთ მოთხოვნის სტატუსი, სურვლის შემთხვევაში ბანკის მხრიდან შემოთავაზებულ კურსზე "შეევაჭროთ" და შემდგომ იქვე მოახდინოთ კონვერტაცია. თუ უბრალოდ არსებული კურსით,მინიმალურ თანხაზე ნაკლების კონვერტაცია გსურთ, აღნიშნულიც ხელმისაწვდომია თქვენთვის იგივე ველში.

ვალუტის კურსები > კურსები
აქ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია ძველ კურსებთან დაკავშირებით, ინფომაციის მიღება შესაძლებელია როგორც TBC კურსებზე ასევე ეროვნული ბანკის კურსებზე.

ვალუტის კურსები > ვალუტის კალკულატორი
შეგიძლიათ მოახდინოთ სასურველი ვალუტის კალკულაცია, კალკულატორით სარგებლობისთვის ანგარიშები არ წამოადგენს აუცილელბლობას.

შეთავაზებები

მენიუ > შეთავაზებები

მოცემულია ინფორმაცია შეთავაზებების შესახებ, როგორც არის მაგალითად წინასწარ დამტკიცებული სესხი, სხვადასხვა ტიპის შეთავაზებები.



პარამეტრები

დეშბორდი > გვერდითა მენიუ > პარამეტრები

შედგება სამი გვერდისგან, სადაც შეგიძლიათ მართოთ ავტორიზაციისთვის საჭირო დეტალები, შეცვალოთ ენა, მართოთ ანგარიშები, ბარათები და KYC.



მომხმარებლების მართვა

მენიუ > კომპანიის მართვა > მომხმარებლების მართვა

მთავარ მომხმარებელს შეუძლია ახალი არა ხელმომწერი მომხმარებლები შექმნას, არსებულები დაარედაქტიროს, წაშალოს, განუახლოს პაროლი, დაბლოკოს ან განბლოკოს.

მენიუ > კომპანიის მართვა > როლები

ამ გვერდიდან შესაძლებელია ახალი როლების დამატება, არსებულების წაშლა ან რედაქტირება.

მენიუ > კომპანიის მართვა > ხელმოწერის წესები

ამ გვერდზე შესაძლებელია არსებული ხელმოწერის წესების ნახვა.

მენიუ > კომპანიის მართვა > ცვლილებები

ამ გვერდზე შესაძლებელია მთავარი მომხმარებლის მიერ შეტანილი ცვლილებების ისტორიის ნახვა.

პროფილების დაკავშირება

ბიზნეს და ფიზიკური პირის მომხმარებლების დაკავშირება შესაძლებელია ბიზნეს ინტერნეტ ბანკიდან.

ამისთვის, უნდა შეხვიდეთ ბიზნეს მომხმარებლის ანგარიშზე და პროფილების სივრცეში უნდა დააჭიროთ ღილაკს “პირადი პროფილის დამატება”, გამოგიჩნდებათ საკუთარი, ფიზიკური პირის მომხმარებელი.

დაკავშირების შემდეგ, პირადი ინტერნეტ ბანკის მომხმარებლის სახელითა და პაროლით შეხვალთ როგორც ბიზნეს, ასევე ფიზიკური პირის ინტერნეტ/მობაილ ბანკში. შეგიძლიათ თქვენს პირად ანგარიშს/მომხმარებელს იმდენი ბიზნეს პროფილი დააკავშიროთ, რამდენსაც ისურვებთ. დაგჭირდებათ მხოლოდ ერთი მომხმარებლის სახელისა და პაროლის დამახსოვრება, რის შემდეგაც მოძრაობა სხვადასხვა ბიზნეს მომხმარებლის ანგარიშებს შორის მარტივი და სწრაფია. მხოლოდ ჩამოშალეთ პროფილების სივრცე და აირჩიეთ სხვა ბიზნეს ანგარიში.

შესაძლებელია ასევე ფავორიტი პროფილის არჩევა ვარსკვლავის მონიშვნით, რომელ სივრცეშიც ავტომატურად შეხვალთ ყოველი შესვლისას.